პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2024 წლის _____ ოქტომბერი; ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.34.22.731, 05.34.22.732) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე და 43-ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ქალაქ ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.34.22.731, 05.34.22.732) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმა, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

ქალაქ ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.34.22.731, 05.34.22.732) ობიექტის პროექტირებისას არქიტექტურული პროექტი შეთანხმდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.34.22.731, 05.34.22.732) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე: 05.34.22.731, 05.34.22.732 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ დადგენილების მიღება.

განმცხადებელი - **შპს „ავენიუ ბაი ორბი” –**

მოთხოვნილია განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება (ერთეტაპიანი წარმოებით); ქ. ბათუმში; დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე N05.34.22.731; N05.34.22.732; არსებული პარამეტრები-განაშენიანების პარამეტრები: განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) = 0.5/0.7*, * გამონაკლისი რეგულირდება განაშენიანების დეტალური გეგმით; განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) = 3,5; გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) = 0,3.; გათვალისწინებულია მიწისქვეშა სივრცეში მოეწყოს 230 ერთეული ავტოსადგომი, კოტეჯების მიმდებარედ მოეწყობა მიწისზედა 20 ერთეული ავტოსადგომი. სულ ავტოსადგომების რაოდენობა შეადგენს1250 ერთეულს; შენობის სართულიანობა შეადგენს 42 სართულს. არ ითხოვს განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადამეტებას, კვლევით ვერ ღებულობს პარამეტრებს, რისთვისაც ამუსავებს გდგ-ს.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე: 05.34.22.731, 05.34.22.732 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ დადგენილების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**